სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი **13 მარტი, 2015 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია ბეგიაშვილი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი,სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
ლევან რაზმაძე	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი თაბუაშვილი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
დავით ხუციშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი ბარაბაძე	სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი
კახა ოქროჯანაშვილი	საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
ალექსანდრე ტაბატაძე	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების ორგანიზების სამმართველოს უფროსი

დღის წესრიგი:

სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის 2015 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON150000009) გამარჯვებული მიმწოდებლის შპს „ალტას“ წინადადების განხილვა, მის მიერ 2015 წლის 5 იანვარს სატენდერო კომისიისათვის ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით წარდგენილი ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის დაზუსტებული საბოლოო ფასის ცვლილების თაობაზე.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ი. ბეგიაშვილმა სატენდერო კომისიას გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

2015 წლის 9 მარტს სატენდერო კომისიის სახელზე წარმოდგენილ იქნა შპს „ალტას“ წერილი (თან ერთვის) მის მიერ CON150000009 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (დესკტოპი) დაზუსტებული საბოლოო ფასის ცვლილების თაობაზე.

სატენდერო კომისიის 2014 წლის 31 დეკემბრის სხდომის №3 ოქმის შესაბამისად, შპს „ალტამ“ სატენდერო კომისიას სისტემის მეშვეობით წარუდგინა CON150000009 კონსოლიდირებული ტენდერის ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებული უმცირესი ფასის შესაბამისად დაზუსტებული ერთი ერთეული სტანდარტული დესკტოპის საბოლოო ფასი - 706.99 ლარი, რის შემდეგაც სატენდერო კომისიის 2015 წლის 5 იანვრის სხდომის №4 ოქმის შესაბამისად, შპს „ალტა“ გამოვლინდა CON150000009 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად და დაევალა სტანდარტული დესკტოპების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება. კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად, შპს „ალტას“ ვალდებულებას წარმოადგენს დაახლოებით 18000 სტანდარტული დესკტოპის მიწოდება შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

წარმოდგენილ წერილში შპს „ალტა“ განმარტავს, რომ ვინაიდან ის ახორციელებს მისაწოდებელი კომპიუტერების იმპორტს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მის მიერ დაფიქსირებული ერთი ერთეული სტანდარტული დესკტოპის საბოლოო ფასი (706.99 ლარი) გაანგარიშებული იყო დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის იმ პერიოდისათვის არსებულ გაცვლით კურსზე (1 აშშ დოლარი = 1.8904 ლარი) დაყრდნობით. აღნიშნული პერიოდიდან დღემდე ეროვნული ვალუტის ღირებულება აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 15.5 %-ით შემცირდა, რის შედეგადაც კომპანია რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდა და სერიოზულ ზიანს განიცდის. მიუხედავად ბაზარზე არსებული რეალობისა, შპს „ალტას“ უარი არ განუცხადებია ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განაგრძობს შემსყიდველ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმებას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შპს „ალტა“ კომისიას მიმართავს თხოვნით, რათა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ერთი ერთეული დესკტოპის ფასი - 706.99 ლარი გაიზარდოს 10%-ით და შესაბამისად, შესყიდვის ხელშეკრულებებით მისი ფასი განისაზღვროს 777.70 ლარით. ამასთან, სავალუტო კურსთან დაკავშირებით არსებული არასტაბილური ვითარების გამო შპს „ალტა“ ითხოვს, რათა შესყიდვის ხელშეკრულებების პირობებში შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება

გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 100%-ით წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე.

საგულისხმოა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის 3.21 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისია, ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, 2015 წლის განმავლობაში ორჯერ გადახედოს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტული კომპიუტერის ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობისას, შესთავაზოს მიმწოდებელს ერთეულის ფასის ცვლილება.

აღსანიშნავია, რომ CON150000009 კონსოლიდირებული ტენდერში ერთი ერთეული დესკტოპის საწყისი სავაჭრო ფასი შეადგენდა 810 ლარს. მიმდინარე ფასის (706.99 ლარი) 10%-ით გაზრდის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციები ერთი დესკტოპის შეძენას შეძლებენ საწყის სავაჭრო ფასთან შედარებით 32.30 ლარით იაფად.

სატენდერო დოკუმენტაციის 3.21 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ დაეთანხმება სატენდერო კომისიის მიერ შემოთავაზებულ ახალ გონივრულ ფასს, აღნიშნული გამოიწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას.

კომისიის წევრებმა ასევე იმსჯელეს, რომ კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციებს დესკტოპების შეძენა მოუწევთ გადაუდებელი აუცილებლობით, რაც გამოიწვევს დამატებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას. ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში კი საჭირო გახდება სატენდერო პირობის ცვლილება არსებული რეალობის შესაბამისად, კერძოდ საწყისი სავაჭრო ფასის 810.00 ლარზე მაღალ ნიშნულზე გამოცხადება. სავალუტო კურსთან დაკავშირებით არსებული არასტაბილური ვითარების გამო სავარაუდოა, რომ მიმწოდებლებმა არ გამოთქვან ტენდერში მონაწილეობის სურვილი ან ელექტრონულ ვაჭრობაში საბოლოო უმცირესი ფასი დააფიქსირონ გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე 777.70 ლარი. ამასთან, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება მოითხოვს დამატებით დროს, რის შედეგადაც შემსყიდველი ორგანიზაციების საჭიროების დაკმაყოფილება და კომპიუტერების მიწოდება განხორციელდება საკმაოდ დაგვიანებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ შპს „ალტას“ შესთავაზოს CON150000009 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დადგენილი ერთი ერთეული დესკტოპის ფასის 10%-ით გაზრდა. აღნიშნულ შეთავაზებაზე საბოლოო, ორმხრივი შეთანხმების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ რეკომენდაცია გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში დესკტოპების შეძენა განახორციელონ წინასწარი ანგარიშსწორების პირობით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილების გათვალისწინებით, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON150000009) გამარჯვებული კომპანია შპს „ალტასათვის“

შეთავაზებულ იქნეს ტენდერის ფარგლებში დადგენილი ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის ფასის გაზრდა 10%-ით.

2. საბოლოო, ორმხრივი შეთანხმების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ რეკომენდაცია, რათა სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების შეძენა განახორციელონ თანხის (100% ან ნაკლები) წინასწარი გადახდის პირობით, შპს „ალტასა“ და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ურთიერთშეთანხმების მიხედვით.

3. ეთხოვოს შპს „ალტას“, არაუგვიანეს 2015 წლის 16 მარტისა, სატენდერო კომისიას აცნობოს მისი საბოლოო პოზიცია კომისიის ზემოაღნიშნულ შეთავაზებასთან დაკავშირებით.

4. სავალუტო კურსის სტაბილიზაციის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციებმა შესაბამისი კორექტირების მიზნით განახორციელონ ერთი ერთეული დესკტოპის ფასის გადახედვა.

5. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: **ილია ბეგიაშვილი**

სატენდერო კომისიის წევრები: **ლევან რაზმაძე**

გიორგი ბარაბაძე

გიორგი თაბუაშვილი

დავით ხუციშვილი

კახა ოქროჯანაშვილი

ალექსანდრე ტაბატაძე

სხდომის მდივანი: **ქეთევან ქადაგიძე**